შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს სატენდერო
კომისიის სხდომის
ო ქ მ ი N 1

ქ. თბილისი 2021 წლის 25 ნოემბერი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად გაიმართა შპს ,,სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ სატენდერო კომისიის სხდომა:

სატენდერო კომისიის წევრები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ალექსი ზანდარაშვილი - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს დირექტორი;

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თეა გოგუა - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ზაქარია გიორგაძე - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს დირექტორის მოადგილე; - არ ესწრებოდა.

კომისიის წევრი: გიორგი ბოდაველი - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ხარისხის მართვის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ერეკლე ბუქური - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: გია შიოშვილი - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს კვების ორგანიზების და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ნიკოლოზ სალამიძე - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის აპარატის წევრი:

ომარ ჭიჭეიშვილი - შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს ფინანსური აღრიცხვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“-ს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ბაზებზე არსებულ სასადილოებში ინვენტარის გამართულად ფუნქციონირებისთვის სათადარიგო დეტალების შესყიდვის მიზნით, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოთხოვნის საფუძველზე (N1460/10-2021), სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების დამტკიცება.

განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს წარუდგინა სათადარიგო დეტალების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგები და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები და მიიღო გადაწყვეტილება

დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი სახით და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 13 015 ლარის ოდენობით.

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის კატეგორია (CPV კოდი)	ტენდერის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	სათადარიგო დეტალები	42100000	13 015

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნას სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი სახით.

2. სატენდერო კომისიის აპარატმა დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების მიხედვით უზრუნველყოს ტენდერის შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია.

3. ტენდერში პრეტენდენტ(ებ)ის სატენდერო წინადადების, სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას დაადგენს სატენდერო კომისია.